

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის რაობა.

დენოტატი – სიგნიფიკატი – ენობრივი ნიშანი.

ენობრივი კოლექტივი და სიტყვის მნიშვნელობა.

ენა, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემურ-სტრუქტურული

წარმონაქმნი, განსაზღვრული არა მხოლოდ შიდასტრუქტურული,

არამედ სოციალური ფაქტორებით, აზრობრივი კატეგორიებით და ფუნქციებით

მნიშვნელობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული

პრობლემაა ენათმეცნიერებისა და არა მხოლოდ ენათმეცნიერებისა.

მნიშვნელობასთან დაკავშირებული არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი

საკითხი არ დასმულა და განხილულა ფილოსოფისთა, ლოგიკოსთა,

ფსიქოლოგთა და სხვათა უშუალო მონაწილეობის გარეშე.

მნიშვნელობაში ყველაზე ნათლად აისახება იმ მიმართებათა ნაირსახეობა და

სირთულე, რაც არსებობს ადამიანს – გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის.

ენას განსაკუთრებული როლი აქვს ადამიანებისა და საზოგადოდ ენობრივი

კოლექტივის ცნობიერებაში. ენა სამყაროს ერთგვარ ლინგვისტურ სურათს

ქმნის. ამიტომ მნიშვნელობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის სირთულე

განპირობებულია თვით შემეცნების პროცესის სირთულით.

გარემომცველი სამყაროს აღქმა ადამიანის ცნობიერების მიერ, გარემომცველი

სამყაროს შემეცნება ადამიანის გონების მიერ, უაღრესად რთული პროცესია.

სამყაროს აღქმა ადამიანის გონებაში არ არის მისი სარკისებური ასახვა. ეს

არის მრავალსაფეხურიანი, რთული პროცესი განზოგადებისა, ცნებათა, კანონთა

ფორმირებისა და ა.შ., რომელიც ადამიანს ეხმარება აღიქვას და შეიმეცნოს

გარემომცველი სამყარო. შემეცნებას ორი ეტაპი აქვს, პირველი – ეს არის

გრძნობადი აღქმა სამყაროსი, რომელიც ადამიანის უშუალო გამოცდილებას

ექვემდებარება, მეორე კი აბსტრაქტული, ლოგიკური შემეცნება, რომელიც

ახდენს ადამიანის გრძნობათა ორგანოების მიერ აღქმული სამყაროს

განზოგადებას. გრძნობადი და ლოგიკური აღქმის პროცესები ქმნიან მჭიდრო,

განუყოფელ ერთიანობას.

ენათმეცნიერებს ყოველთვის აინტერესებდა და აღელვებდა ენის ფილოსოფიის

საკითხები, ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხები. ენის

ფილოსოფიური ასპექტებით დაინტერესებას ჯერ კიდევ ძველ ბერძენ სოფისტებთან ვპოულობთ.

დიდი გერმანელი ენათმეცნიერი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, ენის თვით წარმოშობასაც კი ადამიანის სულის შინაგანი, იმანენტური მოთხოვნებით ხსნის.

"Язык, – пишет Гумбольдт, – происходит вследствие **внутренней потребности** человечества, а не внешней только надобности – поддерживать общественные сношения; потребность эта лежит в самой природе человеческого духа и составляет необходимое условие для развития сил духа и для приобретения мирозерцания, которое достигается только тогда, когда мышление отдельного лица оказывается ясным и определятельным в мышлении всех и каждого".

1836 წელს ჰუმბოლდტმა გამოაქვეყნა ნაშრომი "The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind", რომელშიც იგი წერს:

"... first clearly laid down that the character and structure of a language expresses the inner life and knowledge of its speakers, and that languages must differ from one another in the same way and to the same degree as those who use them. Sounds do not become words until a meaning has been put into them, and this meaning embodies the thought of a community. What Humboldt terms the inner form of a language is just that mode of denoting the relations between the parts of a sentence which reflects the manner in which a particular body of men regards the world about them. It is the task of the morphology of speech to distinguish the various ways in which languages differ from each other as regards their inner form, and to classify and arrange them accordingly."

ჰუმბოლდტმა სათავე დაუდო ლინგვისტური ფარდობითობის თეორიას (Theory of Linguistic Relativity), რომლის ავტორები არიან ამერიკელი ანთროპოლოგი-ლინგვისტი ედუარდ სეპირი და ამერიკელი ლინგვისტი ბენჯამენ უორფი.

ნეოჰუმბოლდტიანიზმს უპირისპირდება ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა, რომელიც ათწლეულების მანძილზე შეისწავლიდა ენის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ სისტემებს, მაშინ როდესაც სემანტიკური და ლექსიკური დონეები განიხილებოდა როგორც ენის პერიფერიული, არასტრუქტურული დონეები.

ენა გვთავაზობს გარე სამყაროს ენობრივ მოდელს.

ენობრივი წარმოდგენების სამყარო რეალურ საგნებსა და მოვლენებზე რთულად იქმნება სამყაროს შემეცნების პროცესში.

ენათმეცნიერები ხშირად აღნიშნავენ, რომ უცხო ენების შესწავლა წარმოადგენს გარე სამყაროს დამატებით შესწავლას. ყოველი ახალი უცხო ენა ცვლის გარე სამყაროს შემეცნების ფოკუსს, ჩვენს ყურადღებას მიმართავს ცოდნის დამატებითი ასპექტებისაკენ.

ეს საკითხები წინა პლანზე წამოვწიეთ, რათა წარმოგვეჩინა მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმე, სირთულე და მრავალპლანიანობა.

ახლა დაუბრუნდეთ ტერმინებს: მნიშვნელობა, ლექსიკური მნიშვნელობა, სემანტიკა, სემასიოლოგია, სიტყვა.

ენობრივი მნიშვნელობის არსის ყველაზე ზოგადი და მოკლე განმარტება შემდეგნაირად ფორმულირდება: **მნიშვნელობა ეს არის ამა თუ იმ ნიშანთან დაკავშირებული კონცეპტი, ცნება.**

იყო პერიოდები ენათმეცნიერების ისტორიაში, როდესაც ნაკლები იყო დაინტერესება სემანტიკის პრობლემატიკით. შემდგომში ეს ინტერესი ისე გაიზარდა, რომ გაჩნდა ლექსიკური სემანტიკა, სინტაქსური სემანტიკა, მორფოლოგიური სემანტიკა, კონტექსტუალური სემანტიკა, სიტყვათწარმოებითი სემანტიკა და ა.შ.

საკუთრივ სიტყვის მნიშვნელობის შესწავლის თვალსაზრისით ერთმანეთს დაუპირისპირდა სიტყვაცენტრული და ტექსტოცენტრული მიმართულებები.

სიტყვაცენტრული მიმართულების წარმომადგენლებისათვის სიტყვა არის ძირითადი სანომინაციო ერთეულიც და ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ელემენტიც. მნიშვნელობის ტექსტოცენტრული შესწავლის დროს, ამოსავალია გამონათქვამის, ტექსტის მნიშვნელობა. ხოლო სიტყვის მნიშვნელობა შეისწავლება იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს გამონათქვამისა და მთელი ტექსტის მნიშვნელობას.

ენობრივი შინაარსის შესწავლის სიტყვაცენტრული და ტექსტოცენტრული მიმართულებები პირობითად შეიძლება განვიხილოთ როგორც ლექსიკური და სინტაქსური სემანტიკის შესწავლა.

ჩვენი ინტერესის ძირითადი ობიექტია სიტყვა, მისი მნიშვნელობა.

(**Semasiology** [f. Gr. *σημασι-*a signification, meaning + **-LOGY**.]


That branch of philology which deals with the meanings of words, sense-development, and the like).

ჩვენ ენას განვიხილავთ, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემურ-სტრუქტურულ წარმონაქმს, განსაზღვრულს არა მხოლოდ შიდასტრუქტურული, არამედ სოციალური ფაქტორებით, აზრობრივი კატეგორიებით და ფუნქციებით. ჩვენ გვაინტერესებს სიტყვის მნიშვნელობის სიღრმისეული ანალიზი, მისი აზრობრივი თუ სემანტიკური სტრუქტურის გახსნის მექანიზმი.

ჩვენთვის სიტყვა არის ორმხრივი ერთეული, რომელსაც აქვს როგორც გამოსატყვისი პლანი (გრაფიკული, ბგერითი ფორმა), ისე შინაარსის პლანი (მნიშვნელობა). სიტყვის ამ ორი პლანის მიმართება, რომელიც საზოგადოებრივად, ფსიქიკურად და ისტორიულად განპირობებულია, განსაზღვრავს კიდევ ენის არა მხოლოდ არსებობას, არამედ განვითარებასაც.

მაშასადამე სიტყვას განვიხილავთ, როგორც ძირითად სანომინაციო და კოგნიტიურ ერთეულს, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა განისაზღვრება საგნის, მოვლენის ან მიმართების ასახვით ცნობიერებაში, რომელიც შედის სიტყვის სტრუქტურაში, როგორც მისი ე.წ. შიდა ფორმა. შიდა ფორმასთან მიმართებაში სიტყვის გარეგანი ფორმა წარმოადგენს ერთგვარ მატერიალურ გარსს, რომელიც საჭიროა არა მხოლოდ მნიშვნელობის გამოსახატავად და მისი სხვა ადამიანების შესატყობინებლად, არამედ თვით ამ მნიშვნელობის აღმოცენების, ფორმირების, არსებობისა და განვითარებისათვის.

ცნობილი სემიოტიკური სამკუთხედი სწორედ სიტყვის ამგვარ გაგებას ასახავს.



სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლისა და გახსნისათვის ერთ-ერთი კომპლექტური და სანდო წყარო – *ამა თუ იმ* ენის

განმარტებითი ლექსიკონებია. სწორედ მათ მიმართავენ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის მკვლევარები როგორც ყველაზე ობიექტურ და სანდო წყაროს ინფორმაციისა. ასევე აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის დეფინიციების, განმარტებების ანალიზი იქცა სემასიოლოგიური კვლევების მნიშვნელოვანეს მეთოდად.

რთულია არა მხოლოდ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის უადრესად რთული მექანიზმის გახსნა, რთულია თვით სიტყვის გარეგანი ფორმის მიმართება მის მნიშვნელობასთან.

აქ დგება ენობრივი ნომინაციის საკითხი.

ნომინაცია არ ნიშნავს მხოლოდ სახელის დარქმევას მატერიალური სამყაროს საგნებისა თუ მოვლენებისათვის. ნომინაცია არის რთული პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის აზროვნებასთან და ადამიანის აღქმისა და შემეცნების პროცესებს აფიქსირებს ენაში. მიმართება სახელსა და მის მიერ აღნიშნულ ობიექტს შორის არის არა პირდაპირი, სწორხაზობრივი, არამედ რთული, გაშუალებული ადამიანის აზროვნებით.

დენოტატი ნომინაციის დროს არის არა მატერიალური სამყაროს კონკრეტული საგნები და მოვლენები, არამედ ჩვენი წარმოდგენები მათ შესახებ.

შეიძლება გავმიჯნოთ ნომინაციის სამი ტიპი: სახელდება ნიშნის შერჩევის გზით, ხმაბაძვის პრინციპით და ბგერითი სიმბოლიკით.

ნომინაციის პირველი ტიპის დროს, ნიშნის შერჩევა სახელდების დროს ხდება სტიქიურად, ნიშნის შერჩევა არ განსაზღვრავს სიტყვის შინაარსს და არის სიტყვის მხოლოდ გარეგანი ფორმის შექმნის საშუალება. ნომინაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არსებითია ნიშანი, რომლის საფუძველზეც ხდება სახელდება, თუ არა. მთავარია, მოცემულმა ნიშანმა მიმართება დაამყაროს საგანთა მთელ კლასთან. რადგან ნიშნის შერჩევა არ განსაზღვრავს სიტყვის ხასიათს, იგი დეტერმინირებულია არა თვით ნიშნის აბსტრაქციის უნარით, არამედ პრაქტიკულად კონკრეტული პირობებით, როგორცაა: კულტურა, ტრადიციები, გეოგრაფიული გარემო და სხვა.